



UNECE



არაორგანული აზოტოვანი სასუქების ეფექტური და ეფექტიანი გამოყენება



ყველა არაორგანული აზოტოვანი სასუქი გამოყენებული უნდა იყოს აზოტის მართვის გეგმის შესაბამისად, სადაც სათანადოდ იქნება გათვალისწინებული აზოტის სასუქისა და ნაკელის მიწოდება და აზოტის ათვისების ფაქტორი ხიადაგის მართვის გეგმის შესაბამისად.

როგორც ნაკელის შემთხვევაში, სასუქის ხიადაგში შეტანა უნდა მოხდეს კულტურის მოთხოვნისა და შესაბამისი ამინდისა და მიწის მდგომარეობის გათვალისწინებით.

რეგულარულად უნდა მოხდეს შესაბამისი მოწყობილობების მოვლა, კალიბრაცია, რომ მისი საშუალებით სწორად მოხდეს აზოტის განაწილება და საჭირო ნუტრიენტების ათვისება.

შარდოვანა $\text{CO}(\text{NH}_2)_2$ და ამონიუმის ნიტრატი (NH_4NO_3)


როგორც წესი, ნიადაგში მყარი ამონიუმის ნიტრატი-ის სასუქად შეტანისას აზოტის დანაკარგი შეადგენს 2 %-ს ამიაკის გაფრქვევის სახით (ევროპისთვის დამახასიათებელ კლიმატურ პირობებში)

შედარებისთვის, აზოტის 45% ამონიუმის სახით შესაძლოა დაიკარგოს, რაც დამოკიდებულია ამინდისა და ნიადაგის ტიპებზე.

თუ მოხდება შარდოვანაზე დაფუძნებული სასუქის ჩანაცვლება ამონიუმის ნიტრატის სასუქით, ამიაკის გაფრქვევა მნიშვნელოვნად შემცირდება. საქართველოში სწორედ ამონიუმის გვარჯილა გამოიყენება.



→ როდესაც შარდოვანაზე დაფუძნებული სასუქი გამოიყენება, უმჯობესია შარდოვანას ინჰიბიტორების დამატება ამიაკის გაფრქვევების შესამცირებლად:



აღნიშნული სასუქის შეტანა სასურველია როცა მოსალოდნელია წვიმა. უმჯობესია შეფრქვევის მეთოდის გამოყენება ან მიწაზე განთავსებით და ნიადაგში რაც შეიძლება სწრაფად შეტანით.

თავიდან უნდა ავიცილოთ მსუბურ ქვიშიან ნიადაგში, მდელოებსა და სახნავ კულტურებში მშრალ ამინდში შეტანა.

ნიადაგში შეტანის სათანადო დროის შერჩევა

ამიაკის გაფრქვევის შემცირებისთვის სასუქის ნიადაგში შეტანა უნდა მოხდეს სათანადო პირობებში, ნიადაგსა და ორგანულ ფენაში ამონიუმის იონების შეწოვის მაქსიმიზაციის მისაღებად, მაშინ როცა სასოფლო კულტურას შეუძლია მაქსიმალურად მიიღოს აზოტი.



ამონიუმის ნიტრატი

სასუქის შეტანა უნდა მოხდეს გრილ, მაგრამ ნოტიო პირობებში და თავიდან უნდა იქნეს აცილებული წვიმით გადარეცხვა აზოტის დანაკარგების (ჰაერში გაფრქვევა და წყალში ჩაჟონვა) მინიმიზაციის მიზნით.

შარდოვანა

→ სასუქის შეტანა უნდა მოხდეს ნოტიო პირობებში (არა სველ) ან როცა წვიმაა მოსალოდნელი და ცივი ამინდია. თუ შესაძლებელია, ის მიწაში უნდა მოხვდეს მიწაზე განაწილების შემდეგ უმოკლეს დროში.



UNECE



მადლობა!

ჟან-მარი ლესკოტი

სოფლის მეურნეობის ექსპერტი

UNECE

17-18 | 09 | 2024, თბილისი

